ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 15 იანვრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2020 წლის 15 იანვრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №1

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

15 იანვარი 2020 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ვარლამ ჭიპაშვილი- „ საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზი ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატი:

ლ.კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის იურისტი

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლი:

ვლადიმერ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

თ. გოგოლაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის #27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 19 დეკემბრის #27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ დასვა შეკითხვა, ეკონომიების ასახვა იმავე მუხლში მოხდება?

ვ. გელაშვილმა უპასუხა,რომ რა თქმა უნდა იმავე მუხლში აისახება.

მ. ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ ღია ესტრადაზე 11 000 ლარი 2015 წლიდან არის გამოყოფილი და საქმე არ გაკეთდა და კიდევ 35 000 ლარი დალამ, რომ მოგვიგო ეს რატომ მოხდა.

ვ. გელაშვილმა უპასუხა,რომ ჯარიმები იყო არასწორად მიცემული, ჩვენ ამ შემთხვევაში 21 000 ლარი უნდა გადავიხადოთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2020 წლის 20 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით და დაავალა საკრებულოს კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 დეკემბრის N27 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე